ბრძანება:**ბ32. 322333110**

თარიღი:**27/11/2023**

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზების მიზნით განმეორებითი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა"და ,,ე.ე" პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, 119-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტარციული კოდექსი"- ს 54-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" #669 დადგენილების მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 მუხლებისა და მე-13 მუხლის მე-2, მე-3 პუნქტების, პირველი ნაწილის, 38 - ე მუხლის, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის 2023 წლის 27 ნოემბრის №07-3223331127 მოხსენებითი ბარათის **შესაბამისად,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი 2023 წლის 28 ნოემბრიდან 2023 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში), მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თანდართული დოკუმენტის სახით წარმოდგენილი, მოძრავი ქონების (6 ერთეული სატრანსპორტო საშუალება) ამავე დანართით განსაზღვრული პირობების შესაბამისად პრივატიზების მიზნით.
2.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსს დავით ხარშილაძეს, უზურნველყოს ამ ბრძანების აღსასრულებლად სათანადო ღონისძიებების განხორციელება (www.eauction.ge-სათვის აუქციონის ორგანიზების მიზნით სათანადო ინფორმაციის მიწოდებისა და აუქციონის მიმდინარეობის მონიტორინგი).
3. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წინამდებარე ბრძანების მეორე პუნქტის შესასრულებლად განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენლი წეისის შესაბამისად.
4.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა (ოფიციალურად გაცნობად ჩაითვალოს მხარისათვის წინამდებარე ბრძანების ელექტრონული ფორმით, საქმისწარმოების სისტემის საშუალებით მიწოდება).
5.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს თემური შუბითიძეს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან–საბას №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
7. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

როინ დეკანოიძე

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი